1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 6 (104) 30 ივნისი 1960 წ.

შინაარსი

ნაწილი პირველი

54. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავსტრიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. გ. ლაპინის განთავისუფლების შესახებ.

55. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავსტრიაში სს კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ი. ავილოვის დანიშვნის შესახებ.

56. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ა. ა. გორეგლიადის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

57. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა უზბეკეთის სს რესპუბლიკის სისტლის სამართლისა და სისტლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებების შესახებ.

58. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის — ემეცკის ტყის მრწვველობის მეურნეობის ტრაქტორისტის ვ. ი. რუდაკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინგრადის ქარხანა „კოსანი ტრეუგოლნიკის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

60. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახალხო რაზმელების ა. ე. პრილეპსკის და ვ. ვ. კრაშარენკოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ. ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ.

ნაწილი მეორე

განკოფილება პირველი

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები.

61. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

62. კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ.
63. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე.
64. კანონი საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ.
65. კანონი „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
66. კანონი „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 56-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
67. კანონი „საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.
68. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
69. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. თ. ვ. ლაშარაშვილის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
70. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. გ. დ. ყორეიკაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.
71. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. დ. ა. ივაშჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.
72. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი ამხ. ი. გ. პავლოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

განყოფილება მეორე

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის სპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკთათვის სპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.
75. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქართულ ენაზე გამოცემისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების საქმის გაუმჯობესების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 აპრილის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
76. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ჰ. ს. გოგოლაძის გაწვევის შესახებ.

განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 ავსტრიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. გ. ლაპინის განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს სერგი გიორგის ძე ლაპინი ავსტრიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 10 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 ავსტრიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ვ. ი. ავილოვის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ვიქტორ ივანეს ძე ავილოვი სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ავსტრიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 10 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. ა. ა. გორეგლიადის სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ალექსი ადამის ძე **გორეგლიადი** დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 11 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 უზბეკეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით დამატებითი ღონისძიებების შესახებ

უზბეკეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინებასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 იანვრის ბრძანებულებით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. № 3, მუხლი 25-ე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გაუქმებულია და მისი ფუნქციები გადაეცა მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 26 დეკემბრის დადგენილების „უზბეკეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით ღონისძიებების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ., № 3, მუხლი მე-16) დამატებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაეგალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებს უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომლებმაც განაჩენი გამოიტანეს, წარდგენა აუცილებელი მონაცემებისა იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან უზბეკეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და სასჯელს იხდიან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის წევრის — ემეცკის ტყის მრეწველობის მეურნეობის ტრაქტორისტის ვ. ი. რუდაკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამბედაობისა და მამაცობის გამოჩენისათვის არხანგელსკის ოლქის, ხოლმოგორის რაიონის ემეცკის ტყის მრეწველობის მეურნეობის ტრაქტორისტი ვასილ ივანეს ძე **რუდაკოვი** დაჯილდოებულ იქნას **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 14 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ლენინგრადის ქარხანა „კრასნი ტრეუგოლნიკის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა რეზინის ფეხსაცმლის წარმოების გადიდების, ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საქმეში დიდი დამსახურების აღსანიშნავად და ქარხნის დაარსებიდან 100 წლისთავის გამო, ლენინგრადის ქარხანა **„კრასნი ტრეუგოლნიკი“** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 17 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 სახალხო რაზმელების ა. ე. პრილეპსკის და ვ. ვ. კრამარენკოს მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს მამაცობისა და თავდადების გამოჩენისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „მამაცობისათვის“

1. ალექსი ევდოკიმის ძე **პრილეპსკი**
2. ვიტალი ვასილის ძე **კრამარენკო.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 22 ივნისი.

ცნობა

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ

1960 წლის 19 ივნისს შედგა არჩევნები კავშირის საბჭოში უმანის № 560 საარჩევნო ოლქში.

უმანის № 560 საარჩევნო ოლქიდან დეპუტატად კავშირის საბჭოში არჩეულია ამხ. ანდრია დანილის ძე **სკიბა,** უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

61 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო რა კაპიტალისტებისა და მემამულეთა ძალაუფლება, შექმნა საკუთარი სახელმწიფო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომლის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები.

საბჭოთა ქვეყანამ, ააშენა რა სოციალიზმი და მოამზადა რა საჭირო ბაზა, შევიდა თავისი განვითარების ახალ — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ფაზაში. ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით ასრულებენ სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას.

პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — მძლავრი საბჭოთა კავშირის მიერ მოპოვებული არნახული მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა დარგში შედეგია იმ ბრძნული პოლიტიკისა, რომელსაც ატარებს დიდი ლენინის მიერ შექმნილი დიადი კომუნისტური პარტია.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ყველა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად უდიდესი წარმატებები მოიპოვა საქართველომ, რომელიც ჩამორჩენილი ნახევრად კოლონიური, აგრარული პროვინციიდან გადაიქცა თანამედროვე მძლავრი მრეწველობის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური მაღალი კულტურის რესპუბლიკად.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში უდიდეს მუშაობას ეწევიან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც დღითიდღე აუმჯობესებენ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობას, რაზმავენ მასებს სახალხო მეურნეობის გეგმების შესასრულებლად. უფრო ეფექტურად იყენებენ თავის მუშაობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინურ პრინციპებს, ზრდიან დეპუტატთა აქტივობას, ამაღლებენ მათ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე, ამტკიცებენ კავშირს მასებთან, მეტ ყურადღებას უთმობენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას, უკეთ იბრძვიან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად უდიდესი მუშაობა გასწიეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა სამეურნეო და კულტურულ-მშენებლობის საქმეში.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც მტკიცედ მიდიან საბჭოთა ხალხების მხარდამჭერ, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების ყველა დარგში და ამით საკუთარი წვლილი შეიტანეს კომუნიზმის შენებლობის დიად საქმეში.

მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების დონემ გასულ წელს 35-ჯერ და მეტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს, აშენდა ათასობით მსხვილი და წვრილი სამრეწველო საწარმო, შეიქმნა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სრულიად ახალი დიდმნიშვნელოვანი დარგები, არნახულად ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე. 1959 წელს რესპუბლიკის მრეწველობის პროდუქციის მატებამ 1958 წელთან შედარებით 9 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 6 პროცენტით.

დიდი წარმატებებია მოპოვებული აგრეთვე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში.

გასულ წელს რესპუბლიკის მშრომელებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 133 ათასი ტონისა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის, ხილის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის და სხვათა წარმოება. პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად გადიდდა მისი პროდუქტიულობა.

წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ მაღალი მაჩვენებლებით სრულდება შვიდწლედის მეორე წლის დავალებები. სერიოზული მუშაობაა ჩატარებული ქალაქებისა და სოფლების მშენებლობის, კეთილმოწყობის, კულტურის, ხელოვნების, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების ხაზით.

ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკის მშრომელები მახარაძის რაიონის პატრიოტულ თაოსნობას — სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების საქმეში. მარტო 1958—1959 წლებში კოლმეურნეობათა სახსრებითა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით რესპუბლიკაში აშენდა 192 სკოლა, 163 კლუბი, 29 კულტურის სახლი, 13 თეატრი, 11 ბიბლიოთეკა, 109 საავადმყოფო და სამედიცინო პუნქტი, 29 აფთიაქი, 88 აბანო, კოლმეურნეთა 35 დასასვენებელი სახლი, შეკეთდა ან ახლად იქნა გაყვანილი 4.608 კილომეტრი გზა, ელექტრიფიცირებულ იქნა 505 და რადიოფიცირებული — 392 სოფელი, 868 კილომეტრზე იქნა გაყვანილი წყალსადენი და. შესრულდა სხვა სამუშაოები. კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში აღებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებენ მახარაძის, გორის, ზუგდიდის, ქობულეთის, წითელწყაროს, გურჯაანისა და სხვა რაიონების მშრომელები.

გაუმჯობესდა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა. გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა 81 პროცენტმა ანგარიში ჩააბარა თავის ამომრჩევლებს, ხოლო საბჭოების აღმასკომების 91,5 პროცენტმა — სესიებს. დიდ მუშაობას ეწევიან საბჭოებთან არსებული მუდმივი

კომისიები, რომელთა მიერაც გასულ წელს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე გაკეთებულ იქნა 14.700 მეტი თანამოხსენება. კომისიები სისტემატურად ეხმარებიან აღმასკომებს მათ წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრაში.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების რიგი ადგილობრივი საბჭო და მისი აღმასკომი ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვის პარტიის XXI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულების, ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებებისა და საკუთარ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, არადამაკმაყოფილებლად ასრულებს მასების ხელმძღვანელის როლს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში, რის შედეგად ზოგჯერ ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენებს მუშაობის გარკვეულ უბნებზე.

სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და მეცხოველეობის განვითარების 1959 წლის ვალდებულებანი ვერ შესრულეს ლენტეხის, დუშეთის, მარნეულის, ხაშურისა და რიგმა სხვა რაიონმა. არ შესრულდა ადგილობრივი ბიუჯეტის დავალებანი აბაშის, ახმეტის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, სიხეერისა და ზოგიერთ სხვა რაიონში, ხოლო კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების შესრულებაში საგრძნობლად ჩამორჩნენ წალენჯიხის, მცხეთის, წალკის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, ახალქალაქის, ოჩამჩირისა და რიგი სხვა რაიონი.

ზოგიერთ რაიონში დაუშვებლად ჭიანურდება დაწყებულ მშენებლობათა დამთავრება, ცალკეულ კოლმეურნეობებსა და სოფლებში არ ამთავრებენ რა ერთი ობიექტის მშენებლობას, იწყებენ ახალს, რაც იწვევს ძალების, მასალებისა და თანხების დაქსაქსვას. ზოგან აშენებენ ისეთ ობიექტებს, რომელთა მშენებლობაც არაა ჯერ აუცილებელი, და რომლებზედაც ხარჯთაღრიცხვებიც კი არ არის შედგენილი, მაშინ როცა რიგი საჭირო და აუცილებელი ობიექტების მშენებლობებს გეგმაშიც კი არ ითვალისწინებენ. ბევრგან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სამშენებლო მასალათა ადგილობრივი რესურსების გამოყენებას, რაც საგრძნობლად აფერხებს და აძვირებს მშენებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა დადებითი როლი შეასრულეს, ზოგიერთი რაიონის ადგილობრივი საბჭო სათანადო ყურადღებას არ აქცევს მათ მუშაობას. ბათუმის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციამ 1959 წელს მშენებლობის გეგმა მხოლოდ 48%-ით შეასრულა და 330 ათასი მანეთი იზარალა, ზარალით დამთავრეს გასული წელი აგრეთვე ცხაკაიას და ჩხოროწყუს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა, ხოლო სტალინირის რაიონში ამ ორგანიზაციამ სრული უმოქმედობა გამოიჩინა.

ადგილობრივი საბჭოები და რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციები დღემდე არ ზრუნავენ სოფლების განაშენიანებისა და მშენებლობის გენერალური გეგმების შედგენისათვის (ახალქალაქის, წალკის, დმანისის რაიონმბი და მათი სასოფლო საბჭოები და სხვ.), რიგ რაიონში უგულვებელყოფენ ტიპიურ პროექტებს და საზოგადოებრივი ნაგებობების მშენებლობას აწარმოებენ უპროექტოდ, რაც აძვირებს მშენებლობას, უკარგავს მათ ლაზათს. ნაკლები ყურადღება ექცევა საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობას.

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობები არ იცავენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მოთხოვნებს, დემოკრატიულ უფლებებსა და მატერიალური დაინტერესების პრინციპებს; ზოგან დაბალია შრომის დისციპლინა და კოლმეურნეთა მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში. ქალის შრომის სათანადოდ გამოყენებისათვის ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ არის მოწყობილი საბავშვო დაწესებულება, არსებული დაწესებულებები კი ხშირად ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ კოლმეურნეობაში საჭირო ყურადღება არ ექცევა სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, მუშაობის მოწესნავე მეთოდებისა და მეცნიერების მიღწევათა დანერგვას, ტექნიკის სწორად გამოყენებას. კომპლექსურ მექანიზაციას, აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად გატარებას, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, მისი დარგების მიზანშეწონილად განლაგებას და ა. შ.

ზოგიერთ რაიონში აღინიშნება ნაკლოვანებანი სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, ადგილობრივი მეურნეობის, საგზაო მშენებლობისა და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციების, აგრეთვე ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობაში. ყველგან არ ტარდება საჭირო მუშაობა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესრულებისათვის; რიგ რაიონში სათანადო სიმაღლეზე არ დგას პოლიტიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა, სუსტია ათეისტური პროპაგანდა. ბიბლიოთეკების, კლუბების, კულტურის სახლების, სახალხო თეატრების, რადიოს, კინოსა და კულტურის სხვა დაწესებულებათა მუშაობა მოითხოვს მკვეთრ გაუმჯობესებას.

ეს ნაკლოვანებანი ძირითადად იმის შედეგია, რომ ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები, რიგ შემთხვევაში ღრმად არ სწვდებიან საქმეს, სწორად არ წარმართავენ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობას, არ აკონტროლებენ მათ, ქმედით ზომებს არ ღებულობენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. რიგ რაიონში სუსტია ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, საბჭოების კავშირი ხალხთან. დეპუტატები და აქტივი სათანადოდ არ არიან მობილიზებული საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად. ზოგ შემთხვევაში ირღვევა კონსტიტუციური ნორმები, დემოკრატიზმის პრინციპები, სესიების ჩატარების ვადები. ზოგიერთი საბჭოს დეპუტატები იშვიათად ხვდებიან თავიანთ ამომრჩევლებს და არ აბარებენ მათ ანგარიშებს. მიუხედავად მუდმივი კომისიების მუშაობის გაუმჯობესებისა მათი საგრძნობი ნაწილი უმოქმედობს.

ზოგიერთი აღმასკომი სათანადოდ არ იყენებს მინიჭებულ უფლებებს, ოპერატიულად არ ხელმძღვანელობს საქმეს და სხდომებზე განსახილველი საკითხების რაოდენობით არის გატაცებული; იშვიათად აწყობს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებას. ზოგჯერ ღებულობს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აღემატებიან მის ფუნქციებსა და უფლებებს, ხოლო პროკურატურის ორგანოები საჭირო ზედამხედველობას არ უწევენ მას.

რიგი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი საჭირო ყურადღებას არ უთმობს საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების

დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების საკითხებს, ამხანაგური სასამართლოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულების მუშაობას. რიგ საბჭოს აღმასკომთან არსებული ადმინისტრაციული კომისია ხშირად სრულ უმოქმედობას იჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

I. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, რაიონულ, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე თბილისის, ჭიათურისა და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა სოფლად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაძლიერებისა და ამ საქმეში საბჭოების ხელმძღვანელი როლის ამაღლებისათვის; ამასთან დაკავშირებით:

1. პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კოლმეურნეობათა შემდგომ სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებას, მათი ეკონომიკის ამაღლებას, უზრუნველყონ საკოლმეურნეო წესდების განუხრელად დაცვა, დარაზმონ ფართო მასები შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესასრულებლად. მიიღონ ყველა საჭირო ზომა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და თვითღირებულების შესამცირებლად; მაქსიმალურად დატვირთონ და რაციონალურად გამოიყენონ ტექნიკა, გაატარონ აგროტექნიკური და სხვა საჭირო ღონისძიებანი, გაზარდონ მეცხოველეობის სულადობა და მისი პროდუქტიულობა, მიაღწიონ, რომ ყველა შრომისუნარიანი წევრი აქტიურად მონაწილეობდეს საკოლმეურნეო შრომაში და ასრულებდეს შრომადღეების გამომუშავების სავალდებულო მინიმუმს; ქალთა შრომის უკეთ გამოყენების მიზნით კოლმეურნეობებში ფართოდ გაშალონ სბავშვო დაწესებულებათა ქსელი, ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი მუშაობა და უმოკლეს დროში გადადგან პრაქტიკული ნაბიჯი სუსტ და მცირეძალოვან კოლმეურნეობათა გასამსხვილებლად.

2. განახორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გეგმების დროზე და ხარისხიანად შესრულებისათვის. არ დაუშვან უგეგმო და უპროექტო მშენებლობანი, ზედმეტობანი, მასალებისა და თანხების დაქსაქსვა ან უყაირათო ხარჯვა, მაქსიმალურად გამოიყენონ მშენებლობისათვის ადგილობრივი რესურსები. ფართოდ დანერგონ მშენებლობაში მოწინავე, ინდუსტრიული მეთოდები. პირველ რიგში ყურადღება მიაქციონ აუცილებლად საჭირო ობიექტების, მათ შორის წყალსადენის, სკოლების, სბავშვო დაწესებულებების, აბანოს, ჯანმრთელობის დაცვის კერების, გზების, ხიდების, კლუბ-ბიბლიოთეკების, საზოგადოებრივი პირუტყვის სადგომებისა და საყოფაცხოვრებო ობიექტების (სამკერვალო და სარემონტო სახელოსნო, საპარიკმახერო, პურის საცხობი, სასადილო და სხვ.) მშენებლობას იზრუნონ სოფლების გეგმიანად განაშენიანებისათვის. გეგმიურად აშენონ არა მარტო საზოგადოებრივი ნაგებობანი, ქუჩები, გზები და სხვ., არამედ ინდივი-

დუალური საცხოვრებელი სახლებიც. ფართოდ გამოიყენონ მშენებლობაში ტიპური პროექტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განამტკიცონ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები; ყველა პირობა შეუქმნან მათ ნაყოფიერი მუშაობისათვის. სერიოზული ყურადღება მიაქციონ ადგილობრივი მშენებელი კადრების მომზადებას.

3. განუხრელად განახორციელონ კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინონ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისადმი. უზრუნველყონ სკოლები, პირველ რიგში სკოლა-ინტერნატები სათანადო შენობებით, განამტკიცონ მათი მატერიალური ბაზა. დაკომპლექტონ სკოლები შესაფერისი პედაგოგიური კადრებით და შეუქმნან მათ მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობები.

4. გარდაქმნან და ყოველმხრივ გაუმჯობესონ სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა (კლუბების, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების, კულტურის სახლებისა და სხვ.) მუშაობა. უზრუნველყონ ისინი სათანადო კადრებით. რეგულარულად მოაწყონ მოსახლეობისათვის კინო-სურათების და თეატრალური დადგმების ჩვენება; სისტემატურად ჩაატარონ მოსახლეობაში ლექციათ-მოხსენებები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მეცნიერების განვითარებისა და კომუნიზმის მშენებლობის აქტუალურ თემებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საუბრებში სოფლის კონკრეტული ამოცანების გაშუქებას. წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას, ათეისტურ პროპაგანდას.

5. ყოველგვარი ზომები ძიიღონ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყონ სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება, მიაღწიონ ინფექციურ დაავადებათა მაქსიმალურ შემცირებას, მიაღწიონ სოფლებსა და ყველა დასახლებულ პუნქტში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ რაიონებს სამკურნალო დაწესებულებათა მშენებლობაში, აგრეთვე მათი კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

6. მეტი ყურადღება მიაქციონ ვაჭრობის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, კავშირგაბმულობის, რადიოს და ადგილობრივი მეურნეობის მკვეთრად გაუმჯობესების საკითხებს. უზრუნველყონ სავაჭრო ქსელის გაფართოება, გაუმჯობესონ მოსახლეობის მომარაგება პირველი მოთხოვნილების საგნებით; უზრუნველყონ ბიუჯეტისა და საფინანსო გეგმების შესრულება და ჭარბი შემოსავლების სწორად განაწილება.

განსაკუთრებით გაძლიერონ ზრუნვა საგზაო მშენებლობისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის.

7. ბუნების დაცვის ნებაყოფლობით საზოგადოებასთან ერთად გაძლიერონ მუშაობა ბუნების დაცვის საქმეში, გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ტყეების, ნაკრძალებისა და მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და გაშენებისათვის, უზრუნველყონ საქართველოს მდიდარი სასარგებლო ფაუნისა და ბუნებრივ წყალსაცავებში თევზის დაცვა-მოშენება; გაძლიერონ ბრძოლა ბრაკონიერობის წინააღმდეგ.

ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კულტურის ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობით საზოგადოებას ისტორიული ძეგლების დაცვის საქმეში.

II. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული ბიბლიოთეკა
დიფი დახმარება გაუწიონს რაიონებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებასა და საკოლმეურნეო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და დარგების მიზანშეწონილად განლაგების საქმეში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ დანერგვაში, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება-გავრცელებაში, ტექნიკით აღჭურვასა და მის სწორად გამოყენებაში, კომპლექსური მექანიზაციის გატარებასა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში; აღრიცხვის, საფინანსო ანგარიშწორების, აგრეთვე დაგეგმვის საქმის გაუმჯობესებაში, გამომუშავების ნორმების სწორად შეფუშავებასა და სხვა საკითხებში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოფლის ელექტრიფიკაციის საქმეს, აუცილებლად შეასრულოს არა მარტო საკოლმეურნეო წარმოების ცალკეული დარგების ელექტრიფიცირების გეგმები, არამედ ფართო მუშაობა გამაღოს სოფლებისა და კოლმეურნეთა სახლების ელექტრიფიცირებისათვისაც.

III. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სპორტული საზოგადოებებისა და ორგანიზაციების კავშირს, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ და ბუნების დაცვის ნებაყოფლობით საზოგადოებებს გააძლიერონ სოფლად მუშაობა, უფრო ახლო ურთიერთობა იქონინონ სოფლის ფართო მასებთან. არა ეპიზოდურად, არამედ სისტემატურად აწარმოონ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა ხალხში, აღზარდონ მოზარდი თაობა კომუნისტური სულისკვეთებით, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადონ წარსულის ყველა მავნე გადმონაშთს, რომლებიც ხელს უშლიან სოციალისტური სამშობლოს წინსვლას ნათელი მომავლისაკენ.

IV. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ადგილობრივი მეურნეობის, მშენებლობის, საავტომობილო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოს, სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და ცეკავშირის გამგეობას მკვეთრად გააუმჯობესონ დახმარება საკოლმეურნეო სოფლებისადმი იქ წარმოებული მშენებლობის, მათი კეთილმოწყობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მთიანი რაიონებისა და შედარებით ჩამორჩენილი სოფლებისადმი დახმარებას.

V. დაევალოს საქართველოს სსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს გააძლიერონ მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, საბჭოთა კანონიერების განუხრელი განხორციელებისათვის. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა

საქმეში ფართოდ ჩაბან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, აქტივი და მოსახლეობა. ამასთან კანონით გათვალისწინებულ ზომებთან ერთად წესდების დამრღვევთა მიმართ ფართოდ გამოიყენონ საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდები, აღმზრდელობითი ღონისძიებანი, რაშიც მნიშვნელოვანი როლი უნდა შესრულონ ამხანაგურმა სასამართლოებმა და სხვა ნებაყოფლობითმა საზოგადოებებმა.

VI. დაევალოს საქართველოს სსრ სასოფლო, სადაბო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

1. საფუძვლიანად გარდაქმნან და სრულყონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ფორმები და მეთოდები. გააძლიერონ მასებთან კავშირი, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიული ცენტრალიზმის ლენინური პრინციპები, სრულად გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებები.

2. უზრუნველყონ სასოფლო, სადაბო და რაიონული საბჭოების სესიების დაწესებულ ვადებში მოწვევა, სესიებისა და აღმასკომების სხდომების მაღალ დონეზე ჩატარება, საკითხების მომზადებასა და განხილვაში ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუდმივ კომისიებს, დეპუტატებსა და აქტივს, ფართოდ გაშალონ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, მიაღწიონ, რომ საბჭოებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებანი იყოს კონკრეტული და რომ ისინი სრულდებოდეს უყოყმანოდ. ამ მიზნით სისტემატურად მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, გაზარდონ მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და კადრებისადმი მომთხოვნელობა, აამაღლონ მათი პასუხისმგებლობის გრძნობა. დაწესდეს, რომ ყოველ სესიაზე აღმასკომი მოახსენებდეს დეპუტატებს, თუ როგორ შესრულდა წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი.

3. სისტემატურად მოაწყონ დეპუტატების ანგარიშგება ამომრჩეველთა, ხოლო აღმასკომებისა—საბჭოს სესიებისა და მოსახლეობის წინაშე. საბჭოებისა და აღმასკომის გადაწყვეტილებანი გააცნონ ფართო მასებს პრესის, რადიოს, დეპუტატებისა და აქტივის საშუალებით.

4. მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ მშრომელთა საჩივრების, წერილებისა და წინადადებებისადმი, დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ აპარატში ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურებისა და სხვა მახინჯი მოვლენების წინააღმდეგ.

VII. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო თვლის, რომ:

1. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მხრივ სასოფლო და სადაბო საბჭოებს არასაკმაო ხელმძღვანელობა და დახმარება ეწევათ და ავალებს მათ გამოასწორონ ეს ნაკლი უმოკლეს ვადაში.

2. სუსტად წარმოებს რესპუბლიკაში ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მუშაობის პოპულარიზაცია, დადებითი მუშაობის მეთოდების განზოგადება და გავრცელება, აგრეთვე აღმასკომების (კერძოდ სასოფლო საბჭოების) ხელმძღვანელი კადრების დადამზადება და მათი ცოდნის დონის ამაღლება. ნაკლებად ეწყობა საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკთა სემინარები და თათბირები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა იბეჭდება საბჭოების მუშაობის ამსახველი ლიტერატურა, სრულიად არასაკმარისად აქვეყნებენ მასალებს საბჭოების მუშაობაზე რესპუბლიკის ზეთები და ჟურნალები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

3. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სასოფლო საბჭოების გამსხვილებამ ხელი შეუწყო მათი მუშაობის გაუმჯობესებას, აქედან გამომდინარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ავალებს მინისტრთა საბჭოს მოამზადოს და შემოიტანოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში განსახილველად საკითხი საბჭოების გამსხვილების შესახებ.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გადაჭრით გაუმჯობესებენ მუშაობას და სასახელო გამარჯვებებს მოიპოვებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ღირსეულად შეხვდებიან თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1961 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

62 საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სასამართლო სისტემა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 117 მუხლის შესაბამისად მართლმსაჯულებას საქართველოს სსრ-ში ახორციელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები.

მუხლი 2. მართლმსაჯულების მიზნები

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში მოწოდებულია დაიცვას ყოველგვარი ხელყოფისაგან:

ა) სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებით განმტკიცებული საზოგადოებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება;

ბ) მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები, რომლებიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციებით;

გ) სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

საქართველოს სსრ მართლმსაჯულების ამოცანაა უზრუნველყოს ყველა დაწესებულების, ორგანიზაციის, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულება.

მუხლი 3. სასამართლოს ამოცანები

სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით ზრდის მოქალაქეებს სამშობლოსა და კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთოცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებით სასამართლო არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს მათ გამოსწორებას და ხელახლა აღზრდას.

მუხლი 4. მართლმსაჯულების განხორციელება სასამართლოს მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის გზით

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება:

ა) სასამართლო სხდომებზე სამოქალაქო სამართლის საქმეთა იმ დავის განხილვისა და გადაწყვეტის გზით, რომელიც ეხება მოქალაქეების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების უფლებებსა და ინტერესებს;

ბ) სასამართლო სხდომებზე სისხლის სამართლის საქმეების განხილვისა და დამნაშავე პირთათვის კანონით დაწესებული სასჯელის ღონისძიებათა შეფარდების ან უდანაშაულოთა გამართლების გზით.

მუხლი 5. მოქალაქეთა თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე, დამოუკიდებლად მათი სოციალური, ქონებრივი და სამსახურებრივი მდგომარეობისა, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა და სარწმუნოებისა.

მუხლი 6. მართლმსაჯულების განხორციელება კანონის ზუსტი შესაბამისობით

მართლმსაჯულება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება სსრ კავშირის, საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობის ზუსტ შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 7. ყველა სასამართლოს შექმნა არჩევითობის საწყისებზე

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 120-123 მუხლების შესაბამისად საქართველოს სსრ-ში ყველა სასამართლო იქმნება არჩევითობის საწყისებზე.

მუხლი 8. საქმეთა კოლეგიური განხილვა ყველა სასამართლოში

საქმეები სასამართლოებში განიხილება კოლეგიურად. საქმეების განხილვა პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში ხორციელდება მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.

საქმეები საკასაციო საჩივრებითა და პროტესტებით განიხილება ზემდგომი სასამართლოების სასამართლო კოლეგიებში შესაბამისი სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით.

საქმეები პროტესტებით სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების გამო განიხილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ პრეზიდიუმის სამი წევრის შემადგენლობით, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სასამართლო კოლეგიებში — ამ სასამართლოს სამი წევრის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი საქმეებს განიხილავს მისი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის დასწრებით.

მუხლი 9. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება

მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

მუხლი 10. ენა, რომელზეც სამართალწარმოება მიმდინარეობს

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 124 მუხლის შესაბამისად სამართალწარმოება საქართველოს სსრ-ში ხორციელდება ქართულ ენაზე, ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის ენაზე; იმ პირთათვის, რომლებმაც ეს ენები არ იციან, უზრუნველყოფილია საქმის მასალების სრული გაცნობა მთარგმნელის საშუალებით, აგრეთვე სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

მუხლი 11. საქმეთა ღია განხილვა ყველა სასამართლოში

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 125 მუხლის შესაბამისად საქმეთა განხილვა საქართველოს სსრ ყველა სასამართლოში ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

მუხლი 12. ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 125 მუხლის შესაბამისად ბრალდებულისათვის უზრუნველყოფილია დაცვის უფლება.

მუხლი 13. ადვოკატთა კოლეგიები

წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოში დაცვის განხორციელების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის სხვა იურიდიული დახმარების გასაწევად მოქმედებენ ადვოკატთა კოლეგიები.

ადვოკატთა კოლეგიები იმ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ეწევიან და მოქმედებენ დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

მუხლი 14. პროკურორის მონაწილეობა სასამართლოში

სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, საქართველოს სსრ პროკურორი და მათდამი დაქვემდებარებული პროკურორები სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით მონაწილეობენ განმწესრიგებელ სხდომებზე. სამსჯავრო სხდომებზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს, მხარს უჭერენ სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში. წარადგენენ და მხარს უჭერენ სარჩელებს სასამართლოში, ზედამხედველობას უწევენ სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კანონიერებასა და დასაბუთებულობას, აგრეთვე სასამართლო განაჩენის აღსრულებას.

მუხლი 15. საზოგადოებრივი ბრალმდებელნი და დამცველნი

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით საზოგადოებრივი ბრალდება და დაცვა სასამართლოში შეუძლიათ განახორციელონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბრალდებას შეიძლება მხარი დაუჭირონ აგრეთვე დანაშაულისაგან დაზარალებულმა პირებმა.

საზოგადოებრივ ბრალმდებლებს და საზოგადოებრივ დამცველებს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს ენახებათ ხელფასი.

საზოგადოებრივი ბრალმდებლებისათვის და საზოგადოებრივი დამცველებისათვის, რომლებიც არ არიან მუშები და მოსამსახურეები, ხარჯების ანაზღაურების წესს სასამართლოში მათი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით დაადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 16. მოთხოვნები, რომლებიც წარედგინებათ მოსამართლეობის და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებს

მოსამართლედ და სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის 25 წელი შეუსრულდა.

მუხლი 17. სახალხო მსაჯულთა და მოსამართლეთა თანასწორი უფლებები მართლმსაჯულების განხორციელების დროს

სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სახალხო მსაჯულები სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 18. ვადა, რომლითაც სახალხო მსაჯულები მოიწვევიან მოვალეობის შესასრულებლად სასამართლოში

სახალხო მსაჯულები მოიწვევიან სასამართლოში თვითეული მოვალეობის შესასრულებლად მორიგეობის წესით, ვადით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება საჭიროა მათი მონაწილეობით დაწყებული საქმის დასამთავრებლად.

მუხლი 19. სახალხო მსაჯულებისათვის ხელფასის შენარჩუნება სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს

სახალხო მსაჯულებს მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვიდან სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს ენახებათ ხელფასი.

სახალხო მსაჯულებს, რომლებიც არ არიან მუშები და მოსამსახურეები, სასამართლოში მათ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით აუნაზღაურდებათ ხარჯები.

ანაზღაურების წესსა და ოდენობას დაადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 20. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადაზე ადრე გაწვევა

მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შეიძლება ვადაზე ადრე ჩამოერთვათ რწმუნებანი მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა ან იმ ორგანოს გამოწვევით, რომლებმაც ისინი აირჩიეს ან მათ მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ვადამდე გამოწვევის წესს ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო.

მუხლი 21. მოსამართლეთა ვადაზე ადრე განთავისუფლება თანამდებობისაგან

მოსამართლეები შეიძლება ვადაზე ადრე განთავისუფლდნენ თანამდებობისაგან თავიანთი თხოვნით ხანგრძლივი ავადმყოფობის, ოჯახური მდგომარეობის, სხვა სამუშაოზე გადასვლისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო.

სახალხო მოსამართლეების ვადაზე ადრე განთავისუფლება ხდება შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ვადაზე ადრე განთავისუფლება ხდება შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების დადგენილებებით და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომლებიც შემდგომში შეტანილ უნდა იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ასსრ უმაღლესი საბჭოს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 22. უფლებამოსილების ვადაზე ადრე გაწვეულ ან განთავისუფლებულ მოსამართლეთა ნაცვლად მოსამართლის არჩევის წესი

უფლებამოსილების ვადაზე ადრე სახალხო მოსამართლის გაწვევის ან განთავისუფლების შემთხვევაში სახალხო მოსამართლის არჩევნებს აწყობს შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, არა უგვიანეს ერთი თვისა გაწვევის ან განთავისუფლების დღიდან.

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების, თავმჯდომარის მოადგილეების, წევრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ვადაზე ადრე გაწვევისა ან განთავისუფლების შემთხვევაში ზემოაღნიშნული სასამართლოების ახალ თავმჯდომარეებს, თავმჯდომარეების მოადგილეებს და წევრებს ირჩევენ შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

თ ა ვ ი II.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო

მუხლი 23. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების შექმნა

ყველა რაიონში ან ქალაქში, რომელსაც არა აქვს რაიონული დაყოფა, შეიქმნება რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო.

მუხლი 24. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევის წესი

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე სამხედრო ნაწილებში ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით.

სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების არჩევნების წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“.

რაიონებში (ქალაქებში), სადაც არჩეულია რამდენიმე სახალხო მოსამართლე, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო, ხოლო ქალაქად, — სადაც არ არის რაიონული დაყოფა — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭო,

შესაბამისად: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით, არჩეულ მოსამართლეთა რიცხვიდან ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 25. სახალხო მოსამართლეების და სახალხო მსაჯულების რაოდენობა

თვითეული რაიონისათვის (ქალაქისათვის) სახალხო მოსამართლეთა რიცხვს აწესებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო მოსამართლეთა რიცხვს აწესებს შესაბამისად ამ რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, ხოლო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი; წინადადებას მოსამართლეთა რიცხვის შესახებ წარადგენენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე.

თვითეული რაიონისათვის (ქალაქისათვის) სახალხო მსაჯულთა რიცხვს აწესებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომი.

მუხლი 26. რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს უფლებამოსილება

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლო განიხილავს ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს, გარდა იმ საქმეებისა, რომლებიც კანონით მიეკუთვნება ზემდგომი სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალის გამგებლობას.

მუხლი 27. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე:

1. თავმჯდომარეობს სასამართლო სხდომებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას;

2. ანაწილებს საქმეებს სახალხო მოსამართლეებს შორის;

3. ხელმძღვანელობს:

ა) სასამართლო პრაქტიკის შესწავლას;

ბ) სასამართლოს კანცელარიის მუშაობას;

გ) სასამართლოს აღმასრულებლების მუშაობას.

4. აწყობს და აწესრიგებს:

ა) ამხანაგური სასამართლოებისადმი დახმარებას;

ბ) მთხოვნელთა მიღებას და მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვას;

გ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ანგარიშგებას ამომრჩევლების წინაშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მოსამართლეთა მუშაობას მოსახლეობაში საბჭოთა კანონების განმარტების დარგში;

ე) სახალხო მსაჯულებთან მეცადინეობის ჩატარებას;

ვ) სტატისტიკური ანგარიშების წარმოებას.

მუხლი 28. სახალხო მოსამართლის შეცვლა მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის შემთხვევაში

რაიონებში (ქალაქებში), სადაც არის ერთი სახალხო მოსამართლე, მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის (ავადმყოფობა, შვებულება და სხვ.) შემთხვევაში სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულებას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე აკისრებს სხვა (უახლოესი) რაიონის სახალხო მოსამართლეს.

შორეულ რაიონებში (ქალაქებში), სადაც არის ერთი სახალხო მოსამართლე, მისი სამუშაოზე დროებით არყოფნის შემთხვევაში სახალხო მოსამართლის მოვალეობის აღსრულება შესაბამისი რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით ეკისრება ერთ-ერთ სახალხო მსაჯულს ამ რაიონში (ქალაქში) არჩეულთა რიცხვიდან.

მუხლი 29. სახალხო მოსამართლეების ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე.

სახალხო მოსამართლეები სისტემატურად აბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს თავიანთი მუშაობის და სახალხო სასამართლოს მუშაობის შესახებ.

თ ა ვ ი III.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო

მუხლი 30. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს არჩევის წესი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 122 მუხლის შესაბამისად, ირჩევს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო ხუთი წლის ვადით.

ოლქის სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას სასამართლოს არჩევისას განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭო.

მუხლი 31. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს შემადგენლობა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო შედგება თავმჯდომარის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და

გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მუხლი 32. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება.

2. ახორციელებს ზედამხედველობას ავტონომიური ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე:

ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები-ში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე საჩივრებისა და პროტეს-ტების განხილვის გზით;

ბ) სასამართლოს პრეზიდიუმში პროტესტების განხილვის გზით რაიონუ-ლი (საქალაქო) სახალხო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტი-ლებებს, განაჩენებსა და განჩინებებზე, სასამართლო კოლეგიების განჩინებებ-ზე, აგრეთვე სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

3. ატარებს ოლქის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების რე-ვიზიას და ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთელ მათ საქ-მიანობაზე.

მუხლი 33. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქა-ლაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სამოქალაქო სამართ-ლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს მისი გამ-გებლობისათვის კანონით მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით — საჩივრებსა და პროტესტებს რაიონული (საქალა-ქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომ-ლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტეს-ტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 34. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს მისი გამგებ-ლობისათვის კანონით მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეო-რე ინსტანციით — საჩივრებსა და პროტესტებს რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ განაჩენებზე და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალა-ში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამარ-თლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 35. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზი-დიუმი

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრთა შემადგენლობით, ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი რაოდე-ნობით. სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს სამხრეთ ოსე-თის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ავტონომიური ოლქის პრო-კურორის მონაწილეობა აუცილებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 36. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე საოლქო სასამართლოს განჩინებებზე.

თუ საქმის განხილვის დროს მონაწილეობდა სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე სხვა სასამართლოში გადაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად, საქმეს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავს სახალხო სასამართლოს რევიზიის შედეგებს.

მუხლი 37. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომაზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს ოლქის სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე ავტონომიური ოლქის სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

დ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ე) ხელმძღვანელობს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რევიზიებს.

მუხლი 38. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს ანგარიშვალდებულება

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ანგარიშს აბარებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს.

თ ა ვ ი IV.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო

მუხლი 39. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო—ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო არის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს ენიჭება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 40. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 121 მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოს ირჩევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები ხუთი წლის ვადით.

აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოს და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავენ შესაბამისად—აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოები უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

მუხლი 41. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიისა და

გ) სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობით.

მუხლი 42. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება;

2. ახორციელებს ზედამხედველობას რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების საქმიანობაზე:

ა) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიებში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე — საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე პროტესტების განხილვის გზით.

3. ატარებს ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების რევიზიას და ახორციელებს ხელმძღვანელობასა და კონტროლს მთელ მათ საქმიანობაზე.

მუხლი 43. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი გამგებ-

ლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ხოლო მეოთხე ინსტანციით — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების ინ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 44. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს, ხოლო მეორე ინსტანციით—რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების ინ განჩენებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, აგრეთვე საჩივრებსა და პროტესტებს სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე.

მუხლი 45. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და წევრების შემადგენლობით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომებზე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 46. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა, განჩენებსა და განჩინებებზე, სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების განჩინებებზე.

თუ საქმის განხილვის დროს მონაწილეობდა სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, სხვა სასამართლოში გადაგზავნის საკითხის გადასაწყვეტად, საქმეს წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ბ) განიხილავს სახალხო სასამართლოს რევიზიის შედეგებს.

მუხლი 47. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შეაქვს პროტესტები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) იწვევს და თავმჯდომარეობს პრეზიდიუმის სხდომებს;

დ) ანაწილებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრებს სასამართლო კოლეგიების მიხედვით;

ე) ახორციელებს სასამართლო კოლეგიების მუშაობისადმი საერთო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას;

ვ) ხელმძღვანელობს სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ზ) ხელმძღვანელობს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რევიზიებს.

მუხლი 48. ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების ანგარიშვალდებულება

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოები ანგარიშს აბარებენ აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში—აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შესაბამისად.

თ ა ვ ი V.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო

მუხლი 49. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანოა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო არის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო ორგანო. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ეკისრება ზედამხედველობა გაუწიოს რესპუბლიკის ყველა სასამართლო ორგანოს სასამართლო საქმიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ენიჭება საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

მუხლი 50. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის წესი

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 120 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ხუთი წლის ვადით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს არჩევის დროს.

მუხლი 51. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო შედგება თავმჯდომარის, მეოთხე ჯდომარის მოადგილეების, სასამართლოს წევრებისა და სახალხო მსაჯულებისაგან და მოქმედებს:

ა) სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის,

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის.

გ) სასამართლოს პრეზიდიუმისა და

დ) სასამართლოს პლენუმის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეებს ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

მუხლი 52. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო:

1. პირველი ინსტანციით განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც კანონით მის კომპეტენციას მიეკუთვნება.

2. ახორციელებს ზედამხედველობას რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობაზე:

ა) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე—საჩივრებისა და პროტესტების განხილვის გზით;

ბ) რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში არ შედიან, კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე და სახალხო მოსამართლეთა დადგენილებებზე პროტესტების განხილვის გზით;

3. ატარებს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს რევიზიას და ახორციელებს მთელი მათი საქმიანობისადმი ხელმძღვანელობას და კონტროლს.

მუხლი 53. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს:

ა) პირველი ინსტანციით კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სამოქალაქო სამართლის საქმეებს;

ბ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, და აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პროტესტებს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა და ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე.

მუხლი 54. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს:

ა) პირველი ინსტანციით კანონით მისი გამგებლობისათვის მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეებს;

ბ) რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს იმ განაჩენებზე და განჩინებებზე შემოსულ საჩივრებსა და პროტესტებს, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არის შესული, და აღნიშნული სასამართლოების მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) პროტესტებს იმ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებსა და განჩინებებზე, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში, და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური ოლქის სასამართლოს განაჩენებსა და განჩინებებზე.

მუხლი 55. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი შედგება უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და სასამართლოს წევრებისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ განსაზღვრული რაოდენობით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის ან მისი მოადგილის მონაწილეობა აუცილებელია.

მუხლი 56. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი:

ა) განიხილავს პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებებსა, განაჩენებსა და განჩინებებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების დადგენილებებზე, აგრეთვე პროტესტებს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პრეზიდიუმების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ბ) განიხილავს ქვემდგომი სასამართლოების რევიზიის შედეგებს.

მუხლი 57. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის შემადგენლობა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და ყველა წევრისაგან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისაგან, რომელნიც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის წევრები არიან თანამდებობის მიხედვით.

პლენუმის სხდომებზე საქართველოს სსრ პროკურორის მონაწილეობა აუცილებელია.

პლენუმის სხდომები მოიწვევა არანაკლებ ერთისა სამ თვეში, პლენუმის დადგენილება მიიღება საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომაზე მონაწილე წევრთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 58. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი:

ა) აძლევს სასამართლოებს სახელმძღვანელო ხასიათის განმარტებებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს რესპუბლიკური კანონმდებლობის შეფარდების საკითხებზე. სასამართლო პრაქტიკის, სასამართლო სტატისტიკისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინებათა საფუძველზე;

ბ) შედის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო წესით გადასაწყვეტი საკითხებისა და საქართველოს სსრ კანონების განმარტების შესახებ;

გ) განიხილავს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მისი მოადგილეების, საქართველოს სსრ პროკურორის და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ისმენს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეების ანგარიშს კოლეგიების მუშაობის შესახებ;

ე) ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან სასამართლო კოლეგიების შემადგენლობებს;

ვ) ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიას;

ზ) განიხილავს საჩივრებს დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების გადაწყვეტილებებზე.

მუხლი 59. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე:

ა) თავმჯდომარეობს სასამართლოს სხდომებს ან სასამართლოს სხდომებზე თავმჯდომარეობის გასაწევად ნიშნავს თავმჯდომარის მოადგილეს ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს;

ბ) შეაქვს პროტესტები საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიებში, პრეზიდიუმში და პლენუმში შესაბამისად რესპუბლიკის ყველა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე, განჩინებებზე და დადგენილებებზე, სასამართლო კოლეგიების გადაწყვეტილებებზე, განაჩენებზე და განჩინებებზე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე, აგრეთვე მოსამართლეთა დადგენილებებზე;

გ) იწვევს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმისა და პლენუმის სხდომებს და თავმჯდომარეობს ამ სხდომებს;

დ) შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის განსახილველად ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ პლენუმის მიერ გადაწყვეტას;

ე) ახორციელებს საერთო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიების მუშაობაზე;

ვ) ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის მუშაობას;

ზ) ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ქვემდგომი სასამართლოების მუშაობას და ნიშნავს მათ რევიზიებს.

მუხლი 60. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის დამტკიცების წესი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მუხლი 61. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ანგარიშვალდებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი VI.

მოსამართლეთა პასუხისმგებლობა

მუხლი 62. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის წესი

არ შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნან მიცემული და ამასთან დაკავშირებით თანამდებობიდან გადაყენებული ან დაპატიმრებული:

ა) სახალხო მოსამართლენი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, წევრები, აგრეთვე უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, ხოლო სესიათაშორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობის გარეშე.

მუხლი 63. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი

სამსახურებრივი დაუდევრობისა და უღირსი მოქმედებისათვის, რაც სახელს უტეხს მართლმსაჯულების ავტორიტეტს, მოსამართლეებს ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა სასამართლოსთან არსებულ დისციპლინურ საქმეთა კოლეგიების წინაშე.

მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესს განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული „დებულება საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“.

თ ა ვ ი VII.

სასამართლოს აღმასრულებლები

მუხლი 64. სასამართლოების გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების აღსრულება

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში აწარმოებენ სასამართლოს აღმასრულებლები.

მუხლი 65. სასამართლოს აღმასრულებლების დანიშვნისა და განთავისუფლების წესი

სასამართლოს აღმასრულებლები იმყოფებიან რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებთან: სასამართლოს აღმასრულებლები ინიშნებიან და ... ვისუფლდებიან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ან სახალხო მოსამართლის მიერ, რასაც შემდგომში ამტკიცებენ შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 66. სასამართლოს აღმასრულებლების მოთხოვნების შესრულების აუცილებლობა

მოთხოვნები სასამართლოს გადაწყვეტილებათა, განაჩენთა, განჩინებათა და დადგენილებათა აღსრულების შესახებ, რომლებსაც სასამართლოს აღმასრულებლები წარადგენენ, სავალდებულოა ყველა თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 25 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

63 საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები, რომლებიც არჩეული არიან საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიღებამდე, მათზე დაკისრებულ მოვალეობათა აღსრულებას განაგრძობენ მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს საქართველოს სსრ იმ საკანონმდებლო აქტების ნუსხა, რომლებიც ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალონ საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი

64 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ

დეპუტატის გაწვევის უფლება, როგორც სოციალისტური დემოკრატიზმის ერთერთი ძირითადი დებულება, რაც საბჭოთა სახელმწიფოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად დაწესდა, გამოხატავს მშრომელთა სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

ითვალისწინებს რა ამას, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის 155-ე მუხლის შესაბამისად **ადგენს:**

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება გაწვეულ იქნას ყოველ დროს, თუ მან ვერ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა ისეთი რამ, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის უფლება უზრუნველყოფილია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებებისათვის: კომუნისტური პარტიული ორგანიზაციებისათვის, პროფესიული კავშირების, კოოპერაციული ორგანიზაციების, ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და კულტურული საზოგადოებებისათვის — მათი ცენტრალური, რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო ორგანიზაციის სახით, ასევე მუშათა და მოსამსახურეთა საერთო კრებებისათვის — საწარმოებსა, საამქროებსა და დაწესებულებებში, გლეხებისათვის — სოფლებსა, კოლმეურნეობებსა და ბრიგადებში, სამხედრო მოსამსახურეებისათვის — ჯარის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში.

საკითხი დეპუტატის გაწვევის შესახებ ამომრჩეველთა კრებებზე შეიძლება აღიძრას იმ პირობით, თუ მასში მონაწილეობს შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რიცხვის არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

მუხლი 3. საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კრებები, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ამის შესახებ ატყობინებენ დეპუტატს, ამასთან აცნობენ გაწვევის საკითხის დაყენების მოტივებს. დეპუტატს უფლება აქვს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს, რომლებიც გაწვევის საკითხს აღძრავენ, წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირი ან წერილობითი ფორმით იმ გარემოებათა გამო, რომლებიც საფუძვლად დაედო მისი გაწვევის საკითხის აღძვრას.

მუხლი 4. გადაწყვეტილებანი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებებისა, რომლებმაც დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრეს, ეგ-

ზავნება მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ მასალებს და თუ დეპუტატის გაწვევის საკითხი აღძრულია ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ.

მუხლი 5. მშრომელთა დეპუტატების სოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხს განიხილავენ და წყვეტენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებები, რომლებსაც იწვევენ ამ კანონის მე-2 მუხლში აღნიშნული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საწარმოებში, საამქროებში, დაწესებულებებში, სოფლებში, კოლმეურნეობებში, ბრიგადებში, ჯარის ნაწილებსა და ქვეგანყოფებში, აგრეთვე ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს დეპუტატის გაწვევის საკითხზე მიიღება ღია კენჭისყრით.

მუხლი 6. მას შემდეგ, რაც მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 138-ე მუხლის თანახმად ყოველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც საქართველოს სსრ ყოველი მოქალაქისათვის უზრუნველყოფილია დაუბრკოლებელი აგიტაციის უფლება დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ.

მუხლი 7. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის შესრულებისადმი თვალყურის სადევნებლად და კენჭისყრის შედეგების განსაზღვრისათვის შესაბამის საარჩევნო ოლქში იქმნება საოლქო კომისია მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებების წარმომადგენელთაგან, აგრეთვე მშრომელთა საერთო კრებების წარმომადგენელთაგან: საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოს დეპუტატის გაწვევისას — კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და 2—6 წევრის შემადგენლობით, ხოლო სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევისას კი საარჩევნო ოლქში — თავმჯდომარის, მდივნის და ერთი წევრის შემადგენლობით.

მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 8. ამომრჩეველთა კრებების ოქმებში აღინიშნება კრების დრო და ადგილი, კრებაზე დასწრე ამომრჩეველთა რაოდენობა, დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი სამი დღის ვადაში წარედგინება დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობ საოლქო კომისიას.

მუხლი 9. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია ამომრჩეველთა კრებების ოქმების საფუძველზე დაითვლის დეპუტატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწვევის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ ოლქში მიცემულ ხმებს და არკვევს გაწ-
ვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს.

საოლქო კომისია დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგების ოქმს წარუდგენს მშრომელთა დეპუტატების შესაბამის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 10. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატი გაწვეულად ითვლება თუ გაწვევას ხმა მისცა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა უმრავლესობამ.

მუხლი 11. დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის შედეგებს მისი განსაზღვრის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი დღისა აქვეყნებს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

მუხლი 12. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის დროს ამ კანონის დარღვევის გამო საჩივრებს განიხილავს დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია.

დეპუტატის გაწვევის შესახებ კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის არასწორი მოქმედების გამო საჩივრებს განიხილავს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოზევნიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

65 „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოზევნიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

66 „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის გრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55-ე და 56-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის გრძანებულება „საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55-ე მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „შინაგან საქმეთა“ და 56-ე მუხლში სიტყვების: „სოციალური უზრუნველყოფისა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „შინაგან საქმეთა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

67 „საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 ივნისის გრძანებულება „საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო ქმნის საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები თანამდებობის მიხედვით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

68 ამხ. ბ. ნ. ჯიბლაძის საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 აპრილის ბრძანებულება ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **ჯიბლაძის** გან-

თავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

69 ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 აპრილის ბრძანებულება ამხ. თამარ ვასილის ასულ **ლაშქარაშვილის** საქართველოს სსრ განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

70 ამხ. ბ. დ. ჟორჟიკაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 13 ივნისის ბრძანებულება ამხ. გრიგოლ დავითის ძე **ჟორჟიკაშვილის** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

71 ამხ. დ. ა. ივაშჩენკოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. დიმიტრი ანდრიას ძე **ივაშჩენკო** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან სამუშაოდ რესპუბლიკის გარეთ გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 25 ივნისი.

72 ამხ. ი. გ. პავლოვსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ივანე გრიგოლის ძე **პავლოვსკი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 25 ივნისი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა და საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, რომელთა სახალხო მეურნეობაში დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიური ეფექტი მოგვცა მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლისა

1. მიხეილ გიორგის ძეს **ახალაიას** — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

2. შალვა ფილიპეს ძე **მარდალეიშვილს**—საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერ-კონსტრუქტორს.

3. გიორგი ივანეს ძე **ფანცულაიას**—ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

4. ევგენი დიმიტრის ძე **სოლომკოს** — თბილისის თამბაქოს № 1 ფაბრიკის მექანიკოსს.

5. ვიქტორ პავლეს ძეს **შარკოვსკის** — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული რაციონალიზატორისა

1. არტაშ ნერსესის ძე **ბადალოვს**—თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ უფროს კონსტრუქტორს.

2. ზაქარია ვასილის ძე **გელაშვილს**—ავჭალის ვ. ი. ლენინის სახელობის შუშის ქარხნის მექანიკოსს.

3. იური გიორგის ძე **ნარიმანიძეს**—ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნის ზეინკალთა ბრიგადირს.

4. დავით თომას ძე **უსეინაშვილს**—საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს.

5. იოსებ გრიგოლის ძე **ხაზარაძეს**—ქუთაისის გ. ნ. ორჯონიკიძის სახელობის ავტო-ქარხნის ზეინკალ-ამწყობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქოფენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 18 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისა და ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

1. იპოლიტე ალექსანდრეს ძე **ხვიჩიას** — მსახიობს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

1. დიდიმ ვიქტორის ძე ჭეიშვილს—დირექტორ-განმკარგულებელს, ოქ-ტიბრის.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. ვლადიმერ რომანოზის ძე **გვენცაძეს** — მსახიობს
2. ქეთევან ვარლამის ასულ **კოლხიდელს (ნაჭყებიას)** — მსახიობს
3. გრიგოლ ალექსანდრეს ძე **ნაცვლიშვილს** — მსახიობს
4. მიხეილ ევგენის ძე **სვანიძეს** — მსახიობს
5. ალექსანდრე პავლეს ძე **ქელბაქიანს** — მსახიობს
6. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ჩიქვინიძეს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი. 1960 წლის 21 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ქართულ ენაზე გამოცემისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აქტების გამოქვეყნების საქმის გაუმჯობესების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 აპრილის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 6 აპრილის დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ 1960 წლის 20 ივნისიდან გამოიცეს ათ დღეში ერთხელ.

უზრუნველყოფილ იქნას „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ სსრ კავშირის კანონების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების დადგენილებების და სხვა აქტების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებების, კონვენციებისა და შეთანხმებების, აგრეთვე ზოგიერთი საინფორმაციო ცნობების გამოცემა ქართულ ენაზე.

საკავშირო მნიშვნელობის ყველა აქტი გამოქვეყნდეს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ პირველ ნაწილში, ხოლო რესპუბლიკური მნიშვნელობისა — მეორე ნაწილში.

2. 1960 წლის 1 ივლისიდან დადგენილ იქნას „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ ხელმოწერის ფასი და მოწესრიგებულ იქნას მასზე ხელმოწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წ. 25 ივნისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან ჰ. ს. გოგოლაძის გაწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაწვეულ იქნას ჰენრიხ სერგოს ძე **გოგოლაძე** ადიგენის რაიონის სახალხო მოსამართლის თანამდებობიდან უკანონო განაჩენების გამოტანისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 25 ივნისი.

გ ა ნ ყ ი ფ ი ლ ე ბ ა მ ე ს ა მ ე

საინფორმაციო ცნობა

მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 25 ივნისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით დაჯილდოვა **509** მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		36
ასპინძის	რაიონიდან	14
ახმეტის	„	19
ბოგდანოვკის	„	32
გორის	„	9
დმანისის	„	52
ზესტაფონის	„	26

თელავის	რაიონიდან	8
ლაგოდეხის	„	21
ლანჩხუთის	„	13
მაიაკოვსკის	„	18
ონის	„	20
სიღნაღის	„	5
ტყიბულის	„	4
ქარელის	„	16
ყვარლის	„	10
ჩოხატაურის	„	8
ცხაკაიას	„	10
წალენჯიხის	„	73
წყალტუბოს	„	24
წალკის	„	28
ხობის	„	16
სამხრეთ ოსეთის ა/ო.	. . . . .	47

ეროვნული ბიბლიოთეკა